# გილოცავთ შობა-ახალ წელს!

ახალი განთიადი

,,ბედნიერია ის, ვისაც სამშობლოსათვის უძგერს გული,,

2018 წელი 24 დეკემბერი № 12 № 8141

განთიადი 87 წელი თქვენთან ერთად!



ელფოსტა AxaliGantiadi@gmail.com



გილოცავთ შობა-ახალ წელს!

ღვთის მადლით ყოველთვის გვქონდა მთავარი – რწმენა, სიყვარული, სითბო, ერთგულება, – ერთი სიტყვით, ყველაფერი ის, რაც ნებისმიერი პოლიტიკური ამინდის მიუხედავად, გვაძლებინებს ამ ქვეყანაზე.

ღმერთმა ინებოს და ჩვენს სახლებში დაივანოს სიმშვიდემ, იყვნენ ჩვენი შვილები განუმეორებელნი, მშობლები – ჯანმრთელნი, მეგობრები – ერთგულნი.

ღმერთმა არ გაგვაცვლევინოს ღირსება ოქროსრიკულებიან სასახლეებზე, კაცის სახელი – საშოვარს გადაგებულ ჩარჩის კეთილდღეობაზე, სამშობლო – თვალისმომჭრელი რეკლამებით გაბრწყინებულ საზღვარგარეთზე.

მოგვეცეს გული გონიერი.

ერთგულებამ და იმედმა გაათბოს ჩვენი სახლები, ქალაქები, რომ ახდეს ილიას "მომავალი შენია!" რომ ვიამაყოთ ქართველობით, რომ საქართველომ იამაყოს ჩვენით!

ძვირფასო თანამოქალაქეებო, სულით და გულით გილოცავთ შობა-ახალი წლის დღესასწაულს. საქართველოს გაძლიერების, გაერთიანების, განმტკიცების ყოფილიყოს ახალი 2019 წელი.

ღმერთმა ინებოს, ყველას ოჯახში დამკვიდრდეს კეთილდღეობა, ჯანმრთელობა, ხვავი და ბარაქა.

ძვირფასო მეგობრებო, გისურვებთ ბედნიერებას, წინსვლას, სიკეთეს, სიხარულს, გამარჯვებებს!

მრავალჟამიერ!

**მანუჩარ მერებაშვილი,
კასპის მუნიციპალიტეტის მერი.**



**ირაკლი მეზურნიშვილი,
საქართველოს პარლამენტის წევრი,
კასპის მაჟორიტარი დეპუტატი.**

ბატონებო და ქალბატონებო!

მინდა მოგილოცოთ დამდეგი ახალი 2019 წელი! გისურვოთ ყველა საახალწლო ნატვრის ახდენას! ყველა თქვენგანის ოჯახში დამკვიდრდეს სიხარული და ბედნიერება, ჯანმრთელობა, მშვიდობა, წარმატებები! ხვავი და ბარაქა ნუ მოჰკლებოდეს თქვენს ოჯახებს!

სასიხარულოა, რომ კასპის მუნიციპალიტეტში უმნიშვნელოვანესი პროექტები ხორციელდება, იმედისმომცემია სიახლის მასშტაბი; მიმდინარეობს პროფესიული სასწავლებლის, ინოვაციური ცენტრის, თანამედროვე სტანდარტებით სტადიონის მშენებლობა.

მრავალ ბედნიერ შობა-ახალ წელს დაგასწროთ უფალმა თავისუფალ და ერთიან სამშობლოში. მრავალჟამიერ!

**დავით ლეონიძე,
კასპის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე.**

## რა გაკეთდა 2018 წელს

# 2018 წლის მაღალბიუჯეტიანი ინფრასტრუქტურული პროექტები (ნაწილი II)

ქალაქ კასპში ე.წ. “ვარჯაანის” დასახლებაში 737 გრძივ მეტრზე მიმდინარეობს ჩოლოყაშვილის ქუჩის რეაბილიტაცია/მოასფალტების სამუშაოები და მისი ღირებულება 510 905 ლარია.



დასრულდა გამყოფი ხაზისპირა და მაღალმთიანი სოფლების საკორინთლო - ახალშენას მისასვლელი გზის რეაბილიტაცია - მოასფალტება 2 466 გრძივ მეტრზე, მოეწყო საგზაო ნიშნები და გარეგანათება. აღნიშნული გზით, რომელიც არასოდეს ყოფილა მოასფალტებული, გარდა მოსახლეობისა სარგებლობს სადამკვირვებლო მისიის და სხვადასხვა საერთაშორისო ორგანიზაციის წარმომადგენლები. სამუშაოს ღირებულება 1 564 000 ლარი.



გამყოფი ხაზისპირა და მაღალმთიანი სოფლების საკორინთლო - ახალშენას მისასვლელი გზის მოასფალტების პარალელურად მოეწყო სასმელი წყლის მაგისტრალი. სამუშაოს ღირებულება 200 000 ლარი.

ქალაქ კასპში 189 გრძივ მეტრზე მოასფალტდა და კეთილმოეწყო ეფრემ მეორის ქუჩა. ქუჩა არის ქალაქში შემოსასვლელი ცენტრალური ქუჩის დამაკავშირებელი და მოსარგებლეა არამარტო ქალაქის, არამედ მუნიციპალიტეტის 8 ადმინისტრაციულ ერთეულში შემავალი 28 სოფლის მოსახლეობაც. სამუშაოს ღირებულება 255 743 ლარი.



სოფელ წინარეხის შიდასახელმწიფოებრივ გზაზე ასფალტის დაგების სამუშაოები მიმდინარეობს. გზის სიგრძე 4 500 გრძივი მეტრია, რომელზეც 3 532 000 ლარი დაიხარჯება.

აღნიშნული გზის კეთილმოწყობა ხელს შეუწყობს ტურისტული პოტენციალის გაზრდასაც, ვინაიდან ქვათახევის ტაძრისკენ მიმავალმა ტურისტმა აღნიშნული გზით უნდა ისარგებლოს.



კასპის მუნიციპალიტეტის სოფელ ზემოხანდაკში სკვერის მოწყობა დასრულდა. აღნიშნულ სკვერში მდებარეობს აფხაზეთის ბრძოლებში დაღუპული კასპის ყოფილი გამგებლის, ეროვნული გვარდიის კასპის ბატალიონის ყოფილი უფროსის, პოლკოვნიკ ტარიელ შარიფაშვილის ბიუსტი.

სკვერი მოეწყო სოფელ კოდისწყაროში, სადაც განთავსებულია აფხაზეთის ბრძოლებში დაღუპული გელა თიგიშვილის ბიუსტი და დიდ სამამულო ომში დაღუპულთა მემორიალი.



სოფელ ქვემო ხანდაკში მიმდინარეობს მემორიალამდე მისასვლელი გზის მოასფალტების სამუშაოები. გზის სიგრძე 3170 გრძივი მეტრია. სამუშაოები 1 408 041 ლარით კასპის მუნიციპალიტეტის ადგილობრივი ბიუჯეტიდან ფინანსდება.

საქართველოს მუნიციპალური განვითარების ფონდმა, კასპის მუნიციპალიტეტის კონფლიქტისპირა 7 სოფელში: ბოჟამი, ხვითი, კოდისწყარო, საკორინთლო, ყარაფილა, სარიბარსა და ზადიანთკარში სასმელი წყლის ჭაბურღილები მოაწყო. მოსახლეობამ წყალი რომ მიიღოს საჭიროა შიდა დაქსელვითი სამუშაოების ჩატარება.

მუნიციპალური განვითარების ფონდის მიერ დაქსელვით სამუშაოებზე გამოცხადებული ტენდერი შედგა, რომლის სავარაუდო ღირებულება 4 100 000 ლარია, მშენებლის შერჩევისა და მის მიერ სამუშაოების დასრულების შემდეგ შვიდივე სოფლის მოსახლეობას სასმელი წყლით მომარაგება გაუუმჯობესდებათ.

კასპის მუნიციპალიტეტში გრძელდება გაზიფიცირების სამუშაოები. გამრიცხველიანება შვიდ სოფელში მიმდინარეობს. მალე ნიაბის, ბორ

დასასრული გვ5.





# 16 დეკემბერს საქართველოს პრეზიდენტის სალომე ზურაბიშვილის ინაუგურაცია შედგა



კასპში წინასაარჩევნო შეხვედრაზე სალომე ზურაბიშვილმა გაიხსენა, რომ დედა ენა, ოჯახი და ორი ბებია სამშობლოსთან მარადიულ და საკრალურ კავშირს უნარჩუნებდა.

ინტერნეტის ეპოქაში, როცა სამყარო მობილურის ეკრანმა "დაიტია", რთული წარმოსადგენია ისწავლო და ათწლეულები არ დაგავიწყდეს მშობლიური ენა. განსწავლულ მამულიშვილებს კარგად მოეხსენებათ, რომ წინაპრები და ოჯახი ყოველი ჩვენგანის პიროვნულ ჩამოყალიბებას, მენტალურ მისწრაფებებსა და უმთავრეს ცხოვრებისეულ პრიორიტეტებს განსაზღვრავს. ასე რომ, სამშობლოს სიყვარული სალომე ზურაბიშვილს არა მხოლოდ გენეტიკურად, არამედ აღზრდის წყალობითაც ერგო.

გვარის დამაარსებელი, ბარათაშვილ-ორბელიანთა შტოს წარმომადგენელი - ზურაბი - ქართლის სამეფოს სარდალი და მეფე სვიმონის ქვეშევრდომი იყო. მან მრავალი ბრძოლა გადაიტანა და დმანისთან, სათხის მონასტრის სიახლოვეს ზურაბიშვილების სათავადო დააარსა.

მოგვიანებით ოჯახი კახეთში, სოფელ კალაურში გადასახლდა. სალომე ზურაბიშვილის დიდი პაპის (მამის დედის, ნინო ნიკოლაძის მამა), ნიკო ნიკოლაძის პიროვნების აღქმისას საქართველოში ლეგენდა და სინამდვილე ერთმანეთს ერწყმის. დიდ ქართველ საერო მოღვაწეთა შორის გამორჩეულია ნიკო ნიკოლაძის ფიგურა, ილია ჭავჭავაძესთან ერთად. იგი იყო უმნიშვნელოვანესი პუბლიცისტური მოღვაწე, რამდენიმე დამოუკიდებელი გამოცემის დამაარსებელი ქართულ და რუსულ ენებზე, მსოფლიოს მოწინავე ჟურნალების თანამშრომელი; იმ უამრავ სახელმწიფო მნიშვნელობის საქმეთაგან, რომლებიც მან სამშობლოსათვის (და არა მხოლოდ) გააკეთა, მხოლოდ არასრულ ჩამონათვალს გაგაცნობთ: ნიკო ნიკოლაძე პირველი ქართველი იყო, რომელმაც სადოქტორო დისერტაცია ევროპაში უცხო ენაზე დაიცვა. მას 1868 წელს ციურიხის უნივერსიტეტის დოქტორის ხარისხი მიენიჭა. ნაშრომი სათაურით "განიარაღება და მისი ეკონომიკურ-პოლიტიკური შედეგები" ჟენევაში ფრანგულ ენაზე წიგნად გამოიცა.

1867-1874 წლებში ნიკო ნიკოლაძის თაოსნობით (მდიდარი ინჟინრის, პალაშკოვის მონაწილეობით) დაიგო ამიერკავკასიაში პირველი, თბილისი-ფოთის რკინიგზა. ამისთვის იგი დაჯილდოვდა ოქროს ჟეტონით, რომელიც უფლებას ანიჭებდა, უფასოდ ემგზავრა რუსეთის იმპერიის სარკინიგზო მარშრუტებზე.

ნიკო ნიკოლაძე გახლდათ ერთ-ერთი პირველთაგანი, ვინც ქალთა განათლებაზე საჯაროდ ალაპარაკდა. მან პირველმა გაამგზავრა ქართველი ქალები (საკუთარი დები და მომავალი მეუღლე) ევროპაში განათლების მისაღებად 1872 წელს.

ნიკო ნიკოლაძე ქართული სათავადაზნაურო ბანკის დაარსების (დიმიტრი ყიფიანის იდეის განხორციელების) უმთავრესი ინიციატორი იყო. სწორედ მის დაჟინებულ მოთხოვნას დათანხმდა დუშეთში მომრიგებელ მოსამართლედ მომუშავე ილია ჭავჭავაძე, ამ ბანკს სათავეში ჩასდგომოდა.

ნიკო ნიკოლაძე პირველი იყო, ვინც საქართველოში ადგილობრივი თვითმმართველობის, ანუ ერობის ჩამოყალიბებისათვის იბრძოდა. მას მტკიცედ სწამდა, რომ ნებისმიერ თემს თავად უნდა აერჩია განათლებული წევრები, რომლებსაც ხალხის სამსახურს დააკისრებდა და ხელფასს გადაუხდიდა.

ნიკო ნიკოლაძე ტყიბულის ქვანახშირის მოპოვების, იქამდე რკინიგზის გაყვანისა და ექსპორტის მთავარი ინიციატორი გახლდათ. 1880-იან წლებში მან უცხოეთიდან ჩამოიყვანა ქვანახშირის დამამუშავებლები; ნიკო ნიკოლაძის ურყევი და დასაბუთებული მოთხოვნის შედეგად გადაწყდა ბაქოდან ბათუმის გავლით რკინიგზის აგება. ასევე, წიფის გვირაბის მშენებლობა, რომელშიც სარკინიგზო ხაზი გაივლიდა და ეს თბილისი-ბათუმის რკინიგზის ხაზის ამოქმედებასაც ნიშნავდა.

1878-1892 წლები, როცა ნიკო ნიკოლაძე თბილისის ქალაქის საბჭოს ოპოზიციონერი წევრი (რამდენჯერმე არჩეული) გახლდათ, ყველაზე დიდი გარდატეხების დროება იყო ქალაქის ისტორიაში.

ნიკო ნიკოლაძემ პირველმა წამოჭრა ქალაქის საბჭოში თბილისის წყალმომარაგების საკითხი. მისი მოთხოვნით აშენდა წყალსადენი ავჭალის წყაროზე; მან ნატახტარი-ბულაჩაურის წყალსადენის იდეაც წამოაყენა. ნიკო ნიკოლაძის მოთხოვნის შედეგად ამოძრავდა პირველად თბილისში ცხენშებმული ტრამვაი. ნიკოს ინიციატივით აშენდა მტკვრის ორი სანაპიროს დამაკავშირებელი ვერის ხიდი (ახლანდელი გალაკტიონის ხიდი) და დაიგო ვერის დაღმართი.

1895 წლიდან მოყოლებული, ფოთის ქალაქის თავად 52 წლის ასაკში არჩეული ნიკო ნიკოლაძე ინოვატორულ იდეებს ახორციელებს. მან სოფლის ტიპის ჭაობიანი დასახლება სანავსადგურო ქალაქად აქცია; ააგო ტაძარი, რომლამდეც 12 ქუჩა გაიყვანა. მის მიერ დაგეგმარებული ფოთი დღესაც ურბანისტთა აღფრთოვანებას იწვევს. ნიკომ ელექტროენერგიით გაანათა ჯერ ფოთი, შემდეგ კი - თბილისი.

ფოთის ქალაქის თავმა პეტერბურგი დაარწმუნა და მიაღწია, რომ პორტიდან გასულ ტვირთებზე პირველად დაწესებულიყო მოსაკრებელი (16 კგ-ზე ნახევარი კაპიკი), რომელიც ქალაქს ხმარდებოდა.

ნიკო ნიკოლაძე საქართველოს დამოუკიდებლობის აქტის ტექსტის ავტორია. იგი საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის უმაღლესი ორგანოს, დამფუძნებელი კრების საპატიო თავმჯდომარე იყო.

სალომე ზურაბიშვილის ბებია ნინო ნიკოლაძე ცნობილი პედაგოგი და პუბლიცისტი გახლდათ, ხოლო პაპა ივანე ზურაბიშვილი (1872-1940) - მოსკოვის უნივერსიტეტის იურიდიული ფაკულტეტის კურსდამთავრებული, კვალიფიციური სამართალმცოდნე, პუბლიცისტი, მწერალი და პოლიტიკური მოღვაწე. მან ქართულად თარგმნა ალფონს დოდეს, ანატოლ ფრანსისა და გი დე მოპასანის ნაწარმოებები; იმდროინდელ ქართულ და რუსულ პრესაში პოლიტიკურ ესეებსა და მოთხრობებს აქვეყნებდა; გიორგი გვაზავასა და სპირიდონ კედიასთან ერთად ივანე ზურაბიშვილი ეროვნულ-დემოკრატიული პარტიის ერთ-ერთი დამფუძნებელი და ცენტრალური კომიტეტის წევრი იყო (ილია ჭავჭავაძემ ამ ახლადშექმნილი პარტიის თავმჯდომარედ 1904 წელს ახალგაზრდა ივანე ზურაბიშვილი დაასახელა); იგი წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების, ქართული დრამატული საზოგადოების, სათავადაზნაურო სკოლის დამხმარე კომიტეტის წევრი და საკათალიკოსო საბჭოს მრჩეველი გახლდათ;

ივ. ზურაბიშვილი 1908-19 წლებში ამიერკავკასიის რკინიგზის მთავარ იურიდიულ მრჩევლად მსახურობდა; რამდენიმე წლის განმავლობაში ხელმძღვანელობდა სათავადაზნაურო ბანკის საზედამხედველო კომიტეტს, თბილისის ნაფიც ვექილთა საზოგადოებას, ტყიბულის მაღაროთა გამგეობას. 1921 წლის 24 თებერვალს ივანე ზურაბიშვილი ოჯახთან ერთად სამშობლოდან გაემგ

დასასრული გვ-4.

## გილოცავთ!



სრულიად საქართველოს, მშობლიურ მუნიციპალიტეტს, თითოეულ მოქალაქეს, ვუსურვებ ბედნიერ შობა-ახალ წელს!

ვისურვებდი ჯანმრთელი გულით, გულიანად და დიდი სიყვარულით გვემსახუროს ჩვენი საფიცარი საქართველოსათვის.

გაძლიერება და ქვეყნის გამთლიანება დაგვბედებოდეს, გაბრწყინებულ ივერიაში გვეცხოვროს. წარმატებული 2019 წელი თქვენ და სრულიად საქართველოს!

**ზურა კლიმიაშვილი, კარდიოლოგი.**



ჩემო ძვირფასო კასპელებო, დიდი სიყვარულით გილოცავთ დამდეგ შობა-ახალ წელს. მშვიდობიან, ხალისიან, სიყვარულითა და მომავლის იმედით აღსავსე სადღესასწაულო დღეების სიხარულს და სიამოვნებას მთელი წელი გაესხივოსნებინოს.

2019 წელი ისტორიაში შესულიყოს როგორც ქვეყნის გამთლიანებისა და აღორძინების დიადი ეპოქის დასაწყისი. ყველა ეროვნებისა და აღმსარებლობის მოქალაქისათვის ჩვენი ქვეყანა ქცეულიყოს მშვიდობიანი ცხოვრებისა და თვითრეალიზაციისათვის ასპარეზად, მსოფლიოში გაფანტულ, ოჯახებისათვის ლუკმაპურის საშოვარზე გახიზნული ემიგრანტებისათვის საყვარელ ოჯახებში ღირსეულად დაბრუნების უახლოეს პერსპექტივად.

უფლის წყალობით, ჯანმრთელობა, დღეგრძელობა, ბავშვების სიცილ-კისკისი, ასაკოვანთა სიბრძნე და მხნეობა, ახალგაზრდების განათლება, დაუღალავი გარჯა, პატიოსანი შრომით დაგროვილი ხვავი და ბარაქა არ მოჰკლებოდეს თქვენს ოჯახებს და სრულიად საქართველოს.

**ია ქამხაძე, ექიმი.**



ჩემო თანარაიონელებო, განსაკუთრებით კი, ჩემო ძვირფასო წინარეხელებო გილოცავთ შობა-ახალი წლის დღესასწაულს, ფეხბედნიერი, უამრავი სასარგებლო სიახლის მომტანი ყოფილიყოს ეს ახალი 2019 წელი ჩვენი ქვეყნისათვის, მალე ყველას ერთად გვეზეიმოს საქართველოს გამთლიანება, გაძლიერება... ჩემს საყვარელ სოფელს, წინარეხს, რომელიც განთქმულია სიდარბაისლითა და სახელოვანი ისტორიით, კულტურით, თავისი კაცთმოყვარე ოჯახებით, ვუსურვებ წარმატებებსა და გამრავლებას.

**ტატო აბულაძე, კასპის მუნიციპალიტეტის მერის წარმომადგენელი წინარეხის ადმინისტრაციულ ერთეულში.**



ჩემო ძვირფასო თანარაიონელებო, პატივცემულო კასპელებო, სულითა და გულით გილოცავთ მოახლოებული შობა-ახალი წლის დღესასწაულს, გისურვებთ ჯანმრთელობასა და ბედნიერებას!

დაგილოცავთ ოჯახის ფუძესა და ჭერს, გულით შევთხოვდი უფალს, რომ ამ ახალ, 2019 წელს მაინც ახდენილიყოს ქართველთა სანუკვარი ოცნება და გამთლიანდეს, გაძლიერდეს ჩვენი სამშობლო.

ღმერთმა გამრავლოთ და გაგაძლიეროთ!

**მამუკა ბერიძე, შპს ,,მარიმედის,, დირექტორი.**

## გილოცავთ!



განა რა უფლება მაქვს ბოძებული, რომ გაზეთიდან ჩემ ქართლს ახალი წელი მივულოცო მთელ საქართველოსთან ერთად? არც არაფერი სხვათაგან გამორჩეული, გაცილებით საინტერესო და ღვაწლმოსილი ადამიანებიც არსებობენ და თუ მაინც მეც
მომცეს საშუალება, სიტყვით მივმართო თუნდაც ამ სტრიქონების წამკითხველს, ეს სიტყვები მხოლოდ მშვიდობის, სიკეთის, სიყვარულისა იყოს მრავალჟამიერ, ჩემო მოყვასო!

ყველა საახალწლო სურვილი საუკეთესოა სურვილთა შორის. ახალწელს ღიმილი, ბარაქა, ფეხბედნიერი მეკვლე შვენის.

იმედებთან დაკავშ ი რ ე ბ უ ლ ი დღესასწაულია.

აწმყო თუ არა გვწყალობს, მომავალი ჩვენია, - აი, ასეთია ყოველი ახალი წელი. მე კი უფრო ძლიერი, ზნეობრივ უფრო მართალი, უფრო ქართული, უფრო ღირსეული მინდა იყოს, განა სურვილები სურვილებად? სინამდვილეში გვინდა ასეთი იყოს ჩვენი ქვეყანა და ჩვენი ხალხი... არადა, ჯამბაკურ-ორბელიანების სასახლის აივნიდან ლამისყანის სანახებს რომ გასცქერი და იცი, აგერ, აქვე შუა ქართლში რუსის საოკუპაციო მავთულხლართებია, აღარც ახალი წელი გინდა და აღარც ძველი ასე ღირსებაშელახულს, უუფლებოს. წ ი ნ ა პ რ ი ს ა ც გრცხვენია და მომავალსაც ვეღარ უსწორებ თვალს. ქართულ სიმხნევეს, ქართულ სიმღერას ბევრჯერ მოუწმენდია უმწეობის ცრემლი. იმდენი ცოდვა-მადლია ამ ქვეყანაზე, იმდენი ადამიანური პრობლემა და გასაჭირი, იმდენი საოცნებო, რომ ამ ყველაფერს მარტო ჩვეულებრივი კაცის ძალა არ ეყოფა, არც დედაკაცისა. ღმერთი ჰყავდეს შემწედ საქართველოს მომავალს, ახალგაზრდობას!

ბედნიერი იყოს ამ ქვეყანაში ბავშვიც, მოხუციც! ფასი ჰქონოდეს კანონიერებას, შრომას, გონიერებას, განათლებას, კულტურას, ზნეობას, მიწას, წყალს, ჰაერს, ყველაფერს მშობლიურს!

ფასი ჰქონოდეს სიყვარულს!

ვიყოთ და ვამშვენოთ ეს სამყარო კაცთმოყვარეობით! ჰუმანიზმით! რწმენით! განა იოლია ეს?!

ნასას თანამგზავრიდან წელს მარსიდანაც გავხედეთ სამყაროს უსასრულობას, მარადისობას და ალბათ უფრო მეტად გვეძვირფასა ჩვენი პატარა დედამიწა, მით უფრო, ჩვენი პატარა საქართველო - პურისა და ღვინის სამშობლო! ჰოდა, ამ ღვინის მადლით კიდევ ერთხელ დავილოცოთ: მრავალ ახალწელს, მეგობრებო!

კიდევ ერთხელ მივენდოთ განგებასა და ერთმანეთს, ადამიანებო! გაგიმარჯოთ!

**მარიამ ნიკლაური,**
**პოეტი.**



უძვირფასესი და უმდიდრესი ისტორიის მქონე ჩემს მშობლიურ რაიონს გულითადად ვულოცავ ახალი 2019 წლის მობრძანებას. საუკუნეები ცდილობდნენ საქართველოს დაჩაგვრას, გაქრობას, ის კი დღემდე ჩვენი საფიცარია.

ღმერთმა ინებოს გაერთიანებულ, გაძლიერებულ ქვეყანაში გვეცხოვროს ჩვენ და ჩვენ შვილებს.

**გიორგი ჩადუნელი,**
**კასპის მხარეთმცოდნეობის მუზეუმის დირექტორი.**

# 16 დეკემბერს საქართველოს პრეზიდენტის სალომე ზურაბიშვილის ინაუგურაცია შედგა

*დასასრული.

ზავრა; იგი ემიგრაციაშიც აგრძელებდა დაუღალავ მოღვაწეობას: იყო ეროვნულ-დემოკრატიული პარტიის პარიზის კომიტეტის თავმჯდომარე, აქვეყნებდა პოლიტიკურ პუბლიკაციებს, კითხულობდა ლექციებს ილიასა და ვაჟას შემოქმედებაზე. მისი წიგნი საქართველოს საერთაშორისო მდგომარეობა, რომელიც დამოუკიდებელი საქართველოს ისტორიას აღწერს, 1936 წელს გამოქვეყნდა. - საუკუნეთა მიჯნის საქართველოს ისტორიის შესანიშნავ მიმოხილვას მოიცავს 1962 წელს პარიზში გამოქვეყნებული ივ.ზურაბიშვილის მოგონებათა წიგნი კარგ ქართველთა ხსოვნისათვის.

ს ა ლ ო მ ე ზურაბიშვილის მეორე პაპა (დედის მამა) მექი (მელქისედეკ) კედია 1918 წლიდან დამოუკიდებელი საქართველოს უშიშროების სამსახურის (ე. წ. განსაკუთრებული რაზმის სამმართველოს) ხელმძღვანელი გახლდათ. იგი დამოუკიდებლობის ეპოქის უმნიშვნელოვანესი სახელმწიფო მოღვაწე და შემდგომში საფრანგეთში ქართული ემიგრაციის გამორჩეული პიროვნება იყო.

1921 წელს მექი კედია ფეხმძიმე მეუღლესთან ერთად საქართველოდან გაემგზავრა. სალომე ზურაბიშვილის უახლოესი ნათესავი გახლდათ სპირიდონ კედია - ილია ჭავჭავაძის იდეალებზე აღზრდილი, სორბონის უნივერსიტეტში განათლება მიღებული, დამფუძნებელი კრების (პარლამენტის წევრი) ეროვნულ-დემოკრატიული პარტიიდან და ფრაქციის თავმჯდომარე; გასაბჭოების შემდეგ იგი აჯანყების მომზადებაში მონაწილეობდა და ქაქუცა ჩოლოყაშვილის თანამებრძოლი იყო. 1922 წელს სპირიდონი ბოლშევიკებმა ჯერ მეტეხის ციხეში გამოამწყვდიეს, მერე კი ემიგრაციაში წასვლა აიძულეს. იგი პატრიოტულ და პუბლიცისტურ მოღვაწეობას ემიგრაციაშიც აგრძელებდა (გამოსცემდა გაზეთ "ერის გუშაგს" და ჟურნალს "სამშობლოსათვის").

ქ-ნ სალომეს მამა - ლევან ზურაბიშვილი - შესანიშნავი კლასიკური განათლების მქონე, პარიზის უმაღლესი საინჟინრო სკოლის კურსდამთვრებული, საფრანგეთის სახელმწიფოს სამსახურთან ერთად (მუშაობდა ფორდის საზოგადოების საფრანგეთის განყოფილებაში), უდიდეს ძალისხმევას ქართულ საქმეს ახმარდა. იგი 1928 წელს საფრანგეთში მცხოვრებ ქართველ სტუდენტთა კავშირის თავმჯდომარედ აირჩიეს. 1928-29 წლებში თანამოაზრეებთან ერთად



სალომე ზურაბიშვილის მშობლები ზეინაბ კედია და ლევან ზურაბიშვილი.

პარიზში წმიდა ნინოს ქართული მართლმადიდებლური სამრევლო და შემდგომ წმიდა ქეთევანის ქართული ორთოდოქსული ძმობა დააარსა, რომელიც მსოფლიო პატრიარქმა დაამტკიცა. იგი 1930 წელს იყო ქართველ უმუშევართა დამხმარე კომიტეტის მდივანი, 1934 წელს ქართველ ახალგაზრდათა წრის ხელმძღვანელი, ქართული ეროვნული ცენტრის ერთ-ერთი დამფუძნებელი. 1949 წელს მან საქართველოს მოკლე ისტორია ფრანგულად გამოაქვეყნა.



სალომე ზურაბიშვილი შვილებთან ერთად



ვაშინგტონი, 2004 წელი.

ლევან ზურაბიშვილი ქართული და უცხოური პრესის დაუღალავი პუბლიცისტი, თავისუფლების ტრიბუნის სარედაქციო კოლეგიის წევრი იყო. მან ძმასთან, არჩილ ზურაბიშვილთან ერთად 1973 წელს პარიზის წმიდა ნინოს ახალი ეკლესიის შეძენისთვის დიდი ძალისხმევა გასწია.

ლევან ზურაბიშვილი არც ერთი პოლიტიკური პარტიის წევრი არ იყო და დაუღალავად იღვწოდა ქართული ემიგრაციის გაერთიანებისათვის. ცნობილი ქართველი ემიგრანტი-მოღვაწე პეტრე ხვედელიძე 2008 წელს იხსენებდა თავისი მეგობრის მართებულ შეხედულებებს, დ ღ ე ვ ა ნ დ ე ლ ი საქართველოსთვისაც კი მეტად საჭირბოროტო პოზიციას: მან ქართულ ემიგრაციას ასეთი წინადადებით მიმართა - მოდით, პოლიტიკური პარტიები ერთმანეთთან ქიშპობის ნაცვლად, გავერთიანდეთ, ერთად ვაკეთოთ ქართული საქმეო, და შექმნა საზოგადოება თავისუფალ ქართველთა კავშირი, რომლის წევრი მეც ვიყავი... 1974 წლიდან ლევან ზურაბიშვილი ამ ორგანიზაციის მუდმივ თავმჯდომარედ აირჩიეს. "პარიზიდან ვაშინგტონამდე საქართველოზე ფიქრით" - ასე ჰქვია წიგნს, რომელიც პეტრე ხვედელიძისა და ლევან ზურაბიშვილის მიმოწერას ასახავს. მასში შესულ 45-ივე წერილში ამოიკითხავთ, როგორ უყვარდა ლევან ზურაბიშვილს სამშობლო და როგორ სასოებდა საქართველოს დამოუკიდებლობის აღდგენას. იგი იყო საფრანგეთში მცხოვრებ ქართველთა სათვისტომოს თავმჯდომარე 1949-51 წლებში და მეორედ - 1961 წლიდან სიკვდილამდე. ლევან ზურაბიშვილის უკიდურესად თავმდაბალი ცხოვრების დასტურია მისი სიკვდილისწინა სურვილი, რომ დაკრძალვაზე არავის მიეტანა გვირგვინები და თაიგულები; ამის მაგიერ საბოძვარი წმინდა ნინოს სამრევლოსთვის შეეწირათ.

ს ა ლ ო მ ე ზურაბიშვილის დედა - ზეინაბ კედია - ემიგრაციაში დაბადებულ-გაზრდილი უმშვენიერესი ქალბატონი, რომელიც ბავშვობაში თურმე უარს ამბობდა, ქართულის გარდა, სხვა ენაზე ესაუბრა, შვილების აღზრდისას არნახულ ძალისხმევას იჩენდა, რომ მათ ცნობიერებაში სამშობლო ცოცხალი და ხელშესახები ყოფილიყო. ამასთან, იგი აქტიურად მონაწილეობდა ქართული დიასპორის ცხოვრებაში. მან მთელი ცხოვრება შორეულ სამშობლოსთან ერთად გაატარა, სადაც მხოლოდ 1986 წელს ჩამოვიდა.

ფოტოები: ka.wikipedia.org/wiki/

# 2018 წლის მაღალბიუჯეტიანი ინფრასტრუქტურული პროექტები (ნაწილი II)



დასასრული.

ტას, მეტეხის, ახალქალაქის, გარიყულასა და ზემო ჩოჩეთის მოსახლეობა



ბუნებრივი აირით ისარგებლებს. სოფელ ქვემო გომში უკვე აინთო ცისფერი ალი.

ქალაქ კასპში 817 გრძივ მეტრზე მოასფალტდა და კეთილმოეწყო თაყაიშვილის, ჭონქაძის ქუჩის წრიული და თაყაიშვილის ქუჩის ჩიხი. გზის კეთილმოწყობა მნიშვნელოვანია ვინაიდან ქუჩები მიმდებარედაა ახლადაშენებულ სპორტულ კომპლექსთან.

კომპლექსში ტარდება ჭიდაობის, კალათბურთის, ძალოსნობის რეგიონალური და რესპუბლიკური ტურნირები. კეთილმოწყობილი გზით მოსახლეობასთან ერთად სარგებლობენ ჩამოსული სპორტსმენები და გულშემატკივრები, სამუშაოს ღირებულება 365 973 ლარი.

ქალაქ კასპში მიმდინარეობს გრიშაშვილის ქუჩის ე.წ. "მუხების გზის" მოასფალტების სამუშაოები. გზის სიგრძე 500 გრძივი მეტრია და მასზე 293 989 ლარი იხარჯება.



კასპის მუნიციპალიტეტში მიმდინარეობს გარეგანათების მოწყობის სამუშაოები. ღირე-



# წლის ბოლო ტრენინგი

საქართველოს კანონი "ადრეული სკოლამდელი აღზრდის და განათლების შესახებ", რომელიც 2016 წლის 8 ივნისს მიიღო საქართველოს პარლამენტმა და ძალაში ეტაპობრივად შევიდა 2017 წლის პირველი აპრილიდან, სხვა უამრავ ორგანიზაციულ საკითხთან ერთად ითვალისწინებს აღმზრდელ-პედაგოგთა პროფესიულ განვითარებას, მათ შორის, სასკოლო მზაობის პროგრამის განხორციელებას, რომელიც სკოლამდელი აღზრდისა და განათლების სავალდებულო კომპონენტია, აგრეთვე, ბავშვთა ფსიქოლოგიისა და ინკლუზიური სკოლამდელი აღზრდის შესახებ საზოგადოების ინფორმირებას, ბავშვთა ჯანმრთელობის დაცვის, კვების, სანიტარული უსაფრთხოებისა და ჰიგიენის მიმართულებით.

– სწორედ ამ თვალსაზრისით საქართველოს პედაგოგთა და მეცნიერთა თავისუფალი პროფკავშირის კასპის რაიონულმა ორგანიზაციამ მუნიციპალიტეტის სკოლამდელი დაწესებულებების გამგეებს, მეთოდისტებს, აღმზრდელებსა და მათ თანაშემწეებს უამრავი ტრენინგი ჩაუტარა ამ ხნის განმავლობაში, – განმარტავს ორგანიზაციის თავმჯდომარე ქალბატონი გიული სოზიაშვილი, – და რა თქმა უნდა, ტრენინგგავლილ მუშაკებს გადაეცათ შესაბამისი სერტიფიკატებიც. ხოლო რაც შეეხება წლის ბოლო ტრენინგი, აღმზრდელებს, ყურადღება გამახვილდა ბავშვთა ფსიქოლოგიასა და ინკლუზიურ განათლებაზე.

მოკლედ, ეს სასწავლო სემინარი ჩატარდა ორგანიზებულად, მუნიციპალიტეტის მერიის, სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებების გაერთიანების და მისი დირექტორის ქალბატონ მანანა ხვთისიაშვილის უშუალო მსმენელი, სემინარს ულვებოდა სპმთპ –ს საგანმანათლებლო დაწესებულებებში დასაქმებულთა პროფესიული განვითარების ცენტრის მაღალკვალიფიციური სპეციალისტი ქალბატონი თინათინ სიდონიშვილი, რომელმაც კმაყოფილება გამოთქვა აქ არსებულ კონტინგენტზე, ამომწურავი პასუხები გასცა



რომელიც გაიმართა მიმდინარე წლის 24 ნოემბერს, დაეთმო სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებების ფსიქოლოგებსა და ექთნებს, მხარდაჭერით და ხელშეწყობით. სხვათა შორის, ღონისძიება ჩატარდა კასპის მუნიციპალიტეტის მერიის სხდომათა დარბაზში და ესწრებოდა 30 მსმენელთა შეკითხვებსაც. რასაკვირველია, ღონისძიების დასრულების შემდეგ სემინარის მონაწილეებს გადაეცათ სერტიფიკატები.

## გილოცავთ!



ჩემო ძვირფასო კასპელებო, მინდა მოგილოცოთ შობა-ახალი წლის დღესასწაული და გისურვოთ ბედნიერება, სიხარული, ყოველი თქვენგანის ოჯახში დაივანოს სიმშვიდემ, მოთმინებამ, ერთმანეთს ამოვუდგეთ მხარში, რათა ჩვენი სამშობლო გაძლიერდეს, განმტკიცდეს, შეიქმნას ხვავი და ბარაქა, წარმატებები გქონდეთ შინ და გარეთ, სიკეთე და სიხარული მოეტანოს ამ ახალ 2019 წელს.

მრავალჟამიერ, იხარეთ და იბედნიერეთ!

**უშანგი მოსიაშვილი, ქველმოქმედი.**



ყველას ვულოცავ ახალ 2019 წელს! ვუსურვებ მშვიდობას, ჯანმრთელობას, სითბოს, სიყვარულს, გამრავლებას და გაძლიერებას.

ღმერთი იყოს ყველა ოჯახის მფარველი.

გავიმეორებ ვაჟა ფშაველას სიტყვებს: "გიყვარდეთ კაცნო ერთმანეთი"!

მხოლოდ სიყვარული შეგვაძლებინებს ყველა სიძნელის გადალახვას.

**როზა გოგიაშვილი, ზემო ხანდაკის საჯარო სკოლის მასწავლებელი.**



ჩემო თანარაიონელებო, მშრომელო, გამრჯე ადამიანებო, გილოცავთ დამდეგ 2019 წლის მობრძანებას!

შობა-ახალი წლის დღესასწაულს გულით ვულოცავ ჩემს საყვარელ, გამრჯე მეტეხელებს, რომლებიც დიდი მოთმინებით, გამძლეობითა და თავგამოდებით შრომობენ იმისათვის, რომ ფეხზე დააყენონ, გააძლიერონ ოჯახები, კეთილდღეობა შეუქმნან შვილებსა და შვილიშვილებს, მხარში ამოუდგნენ სამეზობლოსა და საახლობლოს, გააძლიერონ სამშობლო...

ფეხბედნიერი ყოფილიყოს ეს ახალი 2019 წელი, მშვიდობა და სიხარული დაგბედებოდეთ, ერთად გვეზეიმოს საქართველოს გამთლიანება და გაძლიერება.

მრავალჟამიერ ჩემო ძვირფასებო!

**სოსო მარღიშვილი, კასპის მუნიციპალიტეტის მერის წარმომადგენელი მეტეხის ადმინისტრაციულ ერთეულში.**



ჩემო ძვირფასო თანარაიონელებო, ჩემო კავთისხეველებო!

სულითა და გულით ვუერთდები ამ საახალწლო განწყობას და მოგილოცავთ შობა-ახალი წლის დღესასწაულს. ფეხბედნიერი, მშვიდობიანი და წარმატებების მომტანი ყოფილიყოს დამდეგი 2019 წელი ჩვენი ქვეყნისა და ხალხისათვის, სიხარული, სიკეთე და ბედნიერება ყოფილიყოს თითოეული ჩვენგანის ოჯახში.

ღმერთმა დაგლოცოთ და გაგახაროთ, იხარეთ და იმრავალჟამიერეთ!

**მიხეილ კელაპტრიშვილი, კასპის მუნიციპალიტეტის მერის წარმომადგენელი კავთისხევის ადმინისტრაციულ ერთეულში.**

## გილოცავთ!

## გილოცავთ!

გასულ წელს ჩვენმა თბილმა და სიყვარულით სავსე ერმა გაიარა ყველა შემოთავაზებული გამოცდა, რამაც უფრო ძლიერი გახადა ხალხი და ქვეყანა.

ცხოვრება მუდმივი სამსახურია ხალხისა და ქვეყნისა. ეს გარჯა არასოდეს თავდება. მაშინაც კი თუ აღარ მუშაობ აუცილებლად სჭირდებათ გარშემომყოფთ თანადგომა, ზრუნვა, სიყვარული. დამიჯერეთ, შეიძლება სიტყვამ წამალზე უფრო ჩქარა უშველოს კაცის გასაჭირს. გულითადად გილოცავთ



დამდეგ შობა-ახალ წელს, შემოქმედი და დედა ღვთისმშობელი იყოს ჩვენი ოჯახების და სრულიად საქართველოს მფარველი!

**მზია ჩხეიძე, ექიმი.**



ჩვენი რაიონის თითოეულ მოქალაქეს, განათლების, კულტურის, სპორტის სფეროს მუშაკებს გულითადად ვულოცავ ახალი, 2019 წლის შემობრძანებას! დაე, ასრულდეს ყველა ქართველის სანუკვარი ოცნება და გამთლიანდეს ჩვენი სამშობლო, იყოს წელი ბარაქით და სიყვარულით სავსე, იხარეთ და იბედნიერეთ!

**თეა ხორბალაძე, კასპის მუნიციპალიტეტის მერიის განათლების, კულტურის, სპორტის სამსახურის უფროსი.**



ბატონებო და ქალბატონებო!

გისურვებთ ღიმილიან და ბედნიერ სახეებს. ადამიანის ინტელექტი არ დაკარგულიყოს.

შრომა შეგვყვარებოდეს და მისი ანაზღაურება შესაფერისი ყოფილიყოს. ვიყოთ ერთად და გვესმოდეს ერთმანეთის. რაც არ ვიცით - გვესწავლოს. გასაკიცხი ირონიის გარეშე გაგვეკიცხოს. ყველაფრის მიუხედავად, გულშემატკივრობა და თანადგომა შეგვძლებოდეს. ქართველი ერის შობადობა გაზრდილიყოს. ბარაქა და დოვლათი იყოს ყველა ოჯახში. ერი გამთლიანდეს. ქართული ჯარი გაძლიერდეს. ტერიტორიული მთლიანობა დიპლომატიური მეთოდებით აღდგეს.

ქვეყანა გაძლიერდეს. უცხოეთში მყოფი ქართველები სამშობლოში დაბრუნდნენ. იყოს მშვიდობა. ვიყოთ კანონმორჩილნი.

კიდევ ერთხელ, გილოცავთ 2019 წლის შემობრძანებას და ყველას გისურვებთ ლამაზი სურვილების ასრულებას.

**ბესიკ ნიპარიშვილი, მრავალპროფილიანი სკოლა-გიმნაზიის დირექტორი.**



ძვირფასო თანარაიონელებო, ჩემო კასპელებო, მოგილოცავთ ახალი, 2019 წლის მობრძანებას, ფეხბედნიერი და სიხარულის მომტანი ყოფილიყოს ყოველი თქვენგანისათვის, წარმატებები და სიხარული, სულიერი სიმშვიდე დაგბედებოდეთ, მინდა გისურვოთ ჯანმრთელობა, გამრავლება, სიკეთე, მამულისა და რწმენის ერთგულება, უკეთესად გვესწავლოს ერთმანეთის სიყვარული და მხარში დგომა.

**ბეგი თათრიშვილი, შპს „მედალფას", ქირურგი.**

## "ბედი მდევარი იცვლის ცხენებს"? რატომ?

აი, კიდევ ერთი ახალი წელი, სამანი ძველსა და ახალს შორის, საზღვარი - სადაც ტრადიციულად "ბედი მდევარი იცვლის ცხენებს." მკითხველთა განსწავლულ ნაწილს აუცილებლად ახსენდება ილიას "რა გითხრათ, რით გაგახაროთ?!" უფრო განსწავლულს "ჩვენისთანა ბედნიერი, განა არის სადმე ერი?" უფრო განსწავლულნიც არსებობენ; ისინი კი იმიტომ არიან ძალიან განსწავლულნი, რომ მათი აზრთა მსვლელობა არც ისე ადვილად საცნობი იყოს.

და არიან ისეთებიც, ვისთვისაც გაზეთი "წერე-იკითხეების" თავშეყრის ადგილია, ნასწავლი და განათლებული ადამიანები კი არ უყვარს და მორჩა. რატომ? იმიტომ რომ დედამ თავის დროზე არ წააკითხა "პატარა უფლისწული," "ტომ სოიერის თავგადასავალი," "სამი მუშკეტერი" ... ეს უკანასკნელი "კინოდ ნახა," გაერთო, მაგრამ ძალიანაც არ აღფრთოვანდა, ვერ გაიგო რითი განსხვავდებოდნენ ერთმანეთისგან მუშკეტერები, ან რატომ სამი მუშკეტერი და დარტანიანი? დარტანიანიც ხომ მუშკეტერი იყო? ...

და მერე რა რომ ვერ გაიგო, მერე რა რომ ღმერთმა დაიფარა წიგნებისგან, ცოდნისგან და განათლებისგან, სამაგიეროდ ძალიან კარგად ისწავლა მღვრიე წყალში თევზის ჭერა. ამ უნარის წყალობით სახლიც აიშენა და კარიც დაიმშვენა ... ბევრ ახალ წელს შეხვდა და კიდევ შეხვდება, როგორ? ეს სხვა საუბრის თემაა.

განსწავლულ საზოგადოებას კარგად მოეხსენება, რომ ამერიკის შეერთებულ შტატებში კაცობრიობის ისტორიაში ყველაზე მავნებელი წიგნების სია გამოქვეყნდა, რომელიც ცნობილი მეცნიერებისა და პოლიტიკოსების გამოკითხვის შედეგად შეადგინეს. სიაში სულ ათი წიგნია. მოდით, მათი ჩამოთვლა ბოლოდან დავიწყოთ.

მაშ ასე, მეათე ადგილი: "დასაქმების, პროცენტებისა და ფულის საერთო თეორია", რომლის ავტორიც ინგლისელი ჯონ მეინარდ კეინსი გახლავთ. მეცნიერთა უკმაყოფილება წიგნმა იმით დაიმსახურა, რომ პროპაგანდას უწევს სახელმწიფოს აქტიურ როლს ქვეყნის ეკონომიკაში.

მეცხრე ადგილი: ფრიდრიხ ნიცშეს "სიკეთისა და ბოროტების მიღმა". წიგნი მშვენიერი წასაკითხია, მაგრამ, სამწუხაროდ, ზეადამიანის პროპაგანდას ეწევა!

მერვე ადგილი: "პოზიტიური ფილოსოფიის კურსი," ავტორი ოგიუსტ კონტი. ეს ფრანგი ბატონი პოზიტივიზმის ფუძემდებელი გახლავთ. წიგნში ზოგიერთი გარემოება ნამდვილად ბადებს ეჭვს, მაგრამ საერთო განვითარების მისაღებად მისი წაკითხვა მაინც საინტერესოა.

დასასრული გვ-9.

## "ციხე-ტაძრები ცად ასულან ლოცვა-ვედრებად"

გიორგი ხორგუაშვილის სახელობის კასპის მხარეთმცოდნეობის მუზეუმში /მხატვარ იორამ იმედაშვილის გამოფენის "ქსნის ხეობის" მიხედვით/ ჩატარდა ლიტერატურულ-მუსიკალური ღონისძიება სახელწოდებით "ციხე-ტაძრები ცად ასულან ლოცვა-ვედრებად"... ღონისძიების ორგანიზატორები: მუნიციპალიტეტის სახელოვნებო სკოლების გაერთიანება, მოსწავლე-ახალგაზრდობის სახლი, კასპის მხარეთმცოდნეობის მუზეუმი, საინფორმაციო მხარდამჭერი გაზეთი "ახალი განთიადი".

მხატვრის ჯადოსნური ფუნჯით ფერწერულ ტილოებზე გაცოცხლებულა ქსნის ხეობა, ერთ-ერთი ძირძველი და ულამაზესი კუთხე თავისი ხალხითა და ისტორიული ძეგლებით. სამწუხაროდ, დღევანდელი რეალობიდან გამომდინარე ქსნის ღვთივკურთხეული მიწა, ისევე, როგორც აფხაზეთი და სამაჩაბლო ოკუპირებულია და მოგვაგონებს იმ ჩონგურს, რომლის სიმები გაწყვეტილია და დაუკარგავს ერთიანობის ჰარმონიული ჟღერადობა. დიახ, "ჩონგური საქართველოა, სიმები ჩვენ ვართ ყველაო" — ამ შესანიშნავი სტრიქონებით სულმნათმა პოეტმა დაგვანახვა ჩვენი სამშობლოს თითოეული კუთხის მნიშვნელობა ქვეყნის სიძლიერისა და სიმტკიცისათვის.

ფერებში ამეტყველებულმა ნახატებმა: "ქარჩოხის ხეობა", "ხოფის მონასტერი", "ლარგვისის წმ. თევდორე", ლეგენდა "ყელის ტბაზე" და სხვა ფერწერულმა ტილოებმა დიდი შთაბეჭდილება დატოვა მნახველზე. მხატვარმა იორამ იმედაშვილმა სრულყოფილად მიმოიხილა თითოეული ნახატის შინაარსი, ყურადღება გაამახვილა ნახატზე "ყორჩოხი", რომელიც ყარაჩოხელს ანუ შავჩოხიანს ნიშნავს. სხვათა შორის, X1V საუკუნის ისტორიული წყაროების ცნობით ქართველ ვაჟკაცებს ეროვნული გლოვის ნიშნად შავი ჩოხები ჩაუცვამთ და თურმე, სწორედ აქედან გავრცელდა შავჩოხოსნობა... მხატვარმა ასევე განმარტა ისტორია კომპოზიციისა "ქსნის ციხე", სადაც ალყაში მყოფმა ქართველებმა მტერს ცოცხალი თევზები გადმოუყარეს, ნიშნად ოპტიმიზმისა, რწმენისა, რომ "ჩვენთან არს ღმერთი".

... ეს საინტერესო შეხვედრა კიდევ უფრო გაამრავალფეროვნა, დაამშვენა მოსწავლეების მიერ დადგმულმა მუსიკალურ-ლიტერატურულმა წარმოდგენამ, რომლის ორგანიზატორები გახლდათ კასპის პირველი საჯარო სკოლის პედაგოგი მანანა ყაბანაშვილი და მუზეუმის თანამშრომელი ნანა მერებაშვილი. მოკლედ, მოსწავლე-ახალგაზრდობის სახლის ბავშვებმა და პირველსკოლელებმა ამჯერადაც კარგად გაართვეს თავი დავალების შესრულებას. მოსწავლემ თამარ გოჭოშვილმა დამსწრე საზოგადოებას გააცნო მხატვარ იორამ იმედაშვილის ბიოგრაფია, შემდეგ კი, საქართველოს ყველა ციხე-ტაძრის სახოტბო ლექსი "ციხე-ტაძართა საგალობელი" — ხატოვნად წაიკითხეს: ქეთი ჭალისურმა, თემურ ირემაშვილმა, ანზორ დალაქიშვილმა, მიხეილ სამხარაძემ და უჩა გოგოლაძემ... ყველა მოხიბლა მარიამ მერებაშვილის მიერ წაკითხულმა ლეგენდამ "ყელის ტბაზე", რომლის ფერწერული ტილო ამშვენებს გამოფენას. მოთხრობიდან "მე ერთი პატარა მდინარე ვარ" საინტერესო ამონარიდები წაიკითხეს მოსწავლეებმა: სალომე სამხარაძემ, ნინო ბერუაშვილმა და ბექა რომაშკომ. შთამბეჭდავი იყო ელენე ბიტარიშვილის მიერ ჩონგურზე შესრულებული მთიულური სიმღერები, აგრეთვე, მიხეილ ჟივიძის "ჰერიო ბიჭებო" და ლიზი ქერდიყოშვილის გალობა, პირველი სკოლის მეხუთე კლასის მოსწავლეების მიერ წაკითხული ლექსები.



ღონისძიებაზე სიტყვით გამოვიდნენ მეოთხე საჯარო სკოლის პედაგოგები გულო გიგაური და ინგა ქენქაძე, რომელთა საგვარეულო ფესვები სოფელ ლარგვისსა და ძეგლევშია, იქ, სადაც დარჩა მათი ბავშვობის მოგონებები და წინაპართა საფლავები. შემოქმედმა ქალბატონმა თამარ გაბოძემ თავის გამოსვლაში მადლობა გადაუხადა ღონისძიების ორგანიზატორებსა და მოსწავლეებს აქტიურობისათვის. დაბოლოს, მხატვარმა იორამ იმედაშვილმა მიმართა დამსწრე საზოგადოებას და აღუთქვა მათ, რომ მომავალ წელს დამთვალიერებელს წარუდგენს გამოფენას თეძმის ხეობაზე და გამოსვლა დაამთავრა პოეტ მანანა ჩიტიშვილის ერთ-ერთი ლექსის სტრიქონით: "ქსანზე რომ ბალახს ხელს გადავუსვამ, მთელ საქართველოს ვეფერები".

## ფეისბუქ ციტატა

წლის განმავლობაში რუბრიკით ფეისბუქ ციტატა საინტერესო და გასათვალისწინებელი ჩანაწერები გაგაცანით. ეს იყო ის სიახლეები, რომელთა წაკითხვას ვერ ახერხებენ ჩვენი საყვარელი პაპა-ბებოები, არადა აინტერესებთ!

ქვემოთ შემოთავაზებული მასალა შემაჯამებლად საინტერესო და გასათვალისწინებელია (სტილი დაცულია).

ყველას, ვისაც ეამაყება, რომ ქართველია!!!

წადით და სხვებსაც მოუყევით!!!

1. მსოფლიოში 5000-მდე ერია და 200-მდე სახელმწიფო. ჩვენ ერთ-ერთი უძველესი ისტორიის მქონე ერი ვართ და სახელმწიფოც გვაქვს.

2. საქართველოში ქრისტეს კვართია.

3. მსოფლიოში 7000-ზე მეტი ენა არსებობს, დამწერლობა კი სულ 14-ია. აქედან, ერთ-ერთი ქართულია, მეხუთე - სიძველის მიხედვით.

4. ქართული მწერლობა 15 საუკუნეს ითვლის. შოთა რუსთაველის „ვეფხისტყაოსანი" მსოფლიოს კლასიკადაა აღიარებული.

5. საქართველო უძველეს ევროპელთა სამშობლოა, ზეზვას და მზიას შთამომავლები!

6. საქართველო ძაფის უძველესი სამშობლოა! დადასტურებულია, რომ 34 ათასი წლის წინათ, დასავლეთ საქართველოში დაიწნა პირველი ძაფი!

7. საქართველო ოქროს წარმოების უძველესი სამშობლოა!

8. საქართველოს მეტალურგიის სამშობლოდ მიიჩნევენ, აქ აღმოჩენილია უძველესი არტეფაქტები. ძველბერძნულ ენაში პროტოქართველ ხალიბთა (ხალდეველ-ქალდეველთა) ტომის სახელი ხალიუფს ითარგმნება, როგორც - „რკინა"!

ანუ სწორედ, პროტოქართული ცივილიზაციიდან გავრცელდა მეტალურგია და რკინის იარაღი ასირიაში, მესოპოტამიასა თუ ძველ საბერძნეთში

9. შესაძლებელია, საქართველო თაფლის უძველეს სამშობლოდაც აღიარონ! არქეოლოგებმა ბორჯომის მახლობლად აღმოაჩინეს 5,5 ათასი წლის წინანდელი თაფლის ჭურჭელი! ეს კი, 2 ათასი წლით ძველი თაფლია, რომელიც ეგვიპტეში, თვით ტუტანხამონის სამარხშია აღმოჩენილი!

10. ქართული ხალხური სიმღერა 2001 წელს „იუნესკომ" კაცობრიობის ზეპირსიტყვიერი და არამატერიალური მემკვიდრეობის შედევრად აღიარა. 1977 წელს ილია ზაქაიძისა და როსტომ საგინაშვილის შესრულებული „ჩაკრულო" ნასაში გაიგზავნა.

11. ქართულ ხალხურ ცეკვას მრავალი საუკუნის ისტორია აქვს. ქართული ქორეოგრაფია მსოფლიოში საუკეთესოდაა მიჩნეული.

12. საქართველო ვაზისა და ღვინის სამშობლოა. საქართველოში ექვსასამდე ყურძნის ჯიშია. საქართველოში აღმოჩენილია 8 ათასი წლის წინანდელი ქვევრი, ყურძნის წიპწებით!

"გაერო"-მ ქართული ქვევრი და ღვინის წარმოება კაცობრიობის არამატერიალურ მემკვიდრეობად აღიარა!

13. საქართველო ხორბლის ერთ-ერთი სამშობლოა, მსოფლიოში 27 სახეობის ხორბალია და აქედან 14 ქართული ჯიშისაა.

14. ქართული სამზარეულო აღიარებული და გამორჩეულია თავისი მრავალფეროვნებით.

15. საქართველოში 1000-ზე მეტი მინერალური წყალია.

16. საქართველოს გარდა, ძნელად დაასახელებთ ქვეყანას, სადაც უდაბნოც, ტროპიკული ტყეც, ზღვისპირეთიც და თოვლიანი მწვერვალებიც იქნება.

17. დედამიწაზე ნიადაგის 47 სახეობაა და აქედან საქართველოშია - 44.

18. საქართველო მსოფლიოში გასტრონომიული ტურიზმის პირველ სამეულშია.

19. ცნობილმა ბრიტანულმა გამოცემამ "ზე ტელეგრაფმა" გამოაქვეყნა რეიტინგი - მსოფლიოს 10 არაჩვეულებრივი ადგილი, რომლის შესახებაც ჯერ არ გსმენიათ (იგი შეადგინეს ცნ. მოგზაურებმა სოფი იბოტსენმა და მაქსომ ლოუვერჰორმა) ქ. მეროე (სუდანი), ქ. მუშჰედი (ირანი), ვეფხვების ნაკრძალი კანხა (ინდოეთი), კუნძული სოკოტრა (იემენი), კახეთის რეგიონი (საქართველო).

20. ქართული ჩურჩხელა მსოფლიო ტკბილეულთა ათეულშია (მეშვიდე ადგილზე).

21. თბილისის ივანე ჯავახიშვილის უნივერსიტეტი ერთ-ერთი ძველი, ქართული უნივერსიტეტია ევრაზიის კონტინენტზე.

22. საქართველო უძველეს ცივილიზაციათა სამეულში დასახელდა.

პირველ და მეორე ადგილებს საბერძნეთი და ეგვიპტე იყოფენ. ეს რეიტინგი ძველი ცივილიზაციებისთვის დამახასიათებელი კრიტერიუმების მიხედვით შეადგინეს.

23. გასულ წელს, საქართველოს მეფე დავით აღმაშენებელი მსოფლიოს ყველა დროის საუკეთესო სამხედრო მეთაურების სიის სათავეში მოხვდა. ქართველმა მეფემ ალექსანდრე მაკედონელსაც გაუსწრო.

24. საქართველოს ხუთჯვრიანი დროშა მე-13 საუკუნით თარიღდება და ის მსოფლიოში სიძველით დანიის შემდეგ მეორეა, ეს მსოფლიო ჰერალდიკის საბჭომ დაამტკიცა.

25. საქართველოში, ფლორის მკვლევარების მიერ დადგენილია 4200 სახეობა, ეს ძალიან მაღალი ციფრია. აქედან 22% ენდემია ანუ ისეთი, მარტო აქ, ამ მიწაზე რომ ხარობს, თქვენც გაიხარეეეეეთ, ჩემებო, ქართველებო!!!!

## ფოტო-მატიანე

„ახალი განთიადი" იძიებს საინტერესო სურათებს რაიონის საგაზეთო ფოტო-მატიანის შესაქმნელად. თხოვნით მივმართავთ თანარაიონელებს - დატოვეთ თქვენი კვალი ჩვენს მატიანეში! გამოგვიგზავნეთ საინტერესო და სახალისო ფოტოები!

# 2018 წლის სპორტულ გამარჯვებათა ექო

განთიადი

## ბექა ბერძენიშვილი წლის ფალავანია



ქართული ჭიდაობა, როგორც არამატერიალური კულტურული მემკვიდრეობის უძველესი ელემენტი, "იუნესკომ" ნოემბრის ბოლოს, მსოფლიო ძეგლის სტატუსით, თავის ნუსხაში შეიტანა. ამიტომ რა გასაკვირია, ესოდენ ფართო აღიარებით გამოწვეული განწყობილება საზეიმო ელფერად გასდევდა უკვე შუა დეკემბერში დედაქალაქურ სასპორტო არენაზე გამართულ საქართველოს აბსოლუტური ფალავნობის გათამაშებას.

"ფალავნობა – 2018"-ის ჩემპიონის ტიტული წილად ირგუნა 28 წლის ბექა ბერძენიშვილმა. მძიმეწონოსანთა შორის მოასპარეზე ფალავანმა (მისი პირადი წონა 122 კილოგრამია) მეორე ადგილი ირგუნა და საუკეთესო 16-ეულში მოხვდა, ფინალურ ეტაპზე კი წილისყრით შეხვედრილი ყველა მეტოქე დაჯაბნა, მათ შორის, ნახევარფინალში კასპელი გიორგი კაციაშვილი, გადამწყვეტ ორთაბრძოლაში კი გორელი გიორგი პაპ-



უნაშვილი (საინტერესოა, რომ ეს გიორგიცა და ბექაც ერთი თვით ადრე საქართველოს ჩემპიონები გახდნენ).

ბექა ბერძენიშვილი რიგით მე-40 ფალავანია საქართველოს ყველაზე პრესტიჟული საჭიდაო შეჯიბრების 90-წლიან ისტორიაში (1928 წლიდან ფალავნის ტიტული ზოგმა მრავალგზის მოიპოვა,მავანმა 2-ჯერ,ან თითოჯერ), მე-6 ფალავანი კასპის რაიონიდან (ამირან ვარდოშვილის, შოთა გულიაშვილის, ოთარ ყურაშვილის, ვანო გამხიტაშვილისა და გიორგი კაციაშვილის შემდეგ), ხოლო პირველი – "იუნესკოს" მხრიდან საერთაშორისო აღიარებისთანავე!

ჩვენი ახალი ფალავანი ბექა ბერძენიშვილი დაბადებული და გაზრდილია ახალციხის რაიონში, მაგრამ 2011 წლიდან ცხოვრობს სოფელ მეტეხში და იცავს კასპის რაიონის სპორტულ ღირსებას. მისი მწვრთნელები არიან მამა—შვილი ნუგზარ და იოსებ მამულაშვილები (კასპის სპორტკომპლექსის მწვრთნელები).

შეგახსენებთ, რომ ბექა ევროპის 2016 წლის ჩემპიონი და მსოფლიოს მოქმედი ვიცე-ჩემპიონია ჭიდაობა სამბოში, სადაც მსოფლიო რეიტინგში მე-2 საფეხური უკავია (რუსი ოსიპენკოს შემდეგ).

## 16 წლის ირაკლი დემეტრაშვილი — პირველი კადეტი

15-16 წლის კადეტი სამბოელების მსოფლიო ჩემპიონატში, რომელიც დეკემბრის დასაწყისში გაიმართა ევროპულ სერბეთში, უდიდესი წარმატებით გამოვიდა ჩვენებური ჭაბუკი, თელიანელი ირაკლი დემეტრაშვილი. თანატოლ მძიმეწონიანთა (+84 კგ) პაექრობაში მან ფინალურ შეხვედრაში უკრაინელი მეტოქე დაამარცხა და ესოდენ მცირე ასაკში (დაბადებულია 2002 წლის 17 სექტემბერს) მიაღწია ბევრისათვის სანუკვარ გამარჯვებას — მსოფლიოს მასშტაბით პირველობას. ირაკლისათვის გასული სპორტული წელი, საერთოდ, წარმატებულად წარიმართა. აი, სერბული "ოქრო" კი განსაკუთრებულად გაბრწყინდა და იმედია, მისთვის სამომავლო გამარჯვებათა ორიენტირი გახდება!

## ეკა რაზმაძე „ბრინჯაოს" გოგონაა

სოფელ დოესის საჯარო სკოლის მეათეკლასელი ეკა რაზმაძე ცნობილ მოჭიდავესა და მწვრთნელთან, ჯემალ ხორბალაძესთან ოსტატდება ჭიდაობა ძიუდოში და ხვალ-ზეგ საქართველოს ნაკრებში უთუოდ ვიხილავთ. ბევრისათვის მოულოდნელად, დეკემბრის დასაწყისში მან ჭიდაობის სხვა სახეობაში (სამბოში) წარმატებული გამოსვლით გააცნო თავი ფართო სპორტულ საზოგადოებას.

იგივე სერბულ ტურნირში მან ბრინჯაოს მედალი შემატა საქართველოს გოგონათა ნაკრების მონაგარს: ეკამ მე-3 საპრიზო ადგილი დაიკავა 41 კილოგრამამდე წონის მოასპარეზეებში.

(ეკამ, ევროპიდან ჩამოსვლის შემდეგ, სულ რამდენიმე დღეში, კასპშიც დაადასტურა თავისი უპირატესობა: გაიმარჯვა მალხაზ კუმლაძის ხსოვნის ტურნირში).

## მოშაშე ლია ყაზარაშვილი მესამეა მსოფლიო თასის გათამაშებაში

64-უჯრიანი შაშის ტრადიციული გათამაშებების წლევანდელ დამაგვირგვინებელ ეტაპს ქ. თბილისმა უმასპინძლა ნოემბერში. საქართველოს დედაქალაქში მსოფლიოს საუკეთესო მოშაშე ქალბატონები და ბატონები შეიკრიბნენ. მათ შორის ბრძანდებოდა კასპელი ლია ყაზარაშვილი — საერთაშორისო შაშში 1992 წლის პირველი ეროვნული ჩემპიონატის გამარჯვებული, საბჭოეთის დაშლამდე საქართველოს 4-გზის ჩემპიონი.

ვეტერანმა მოშაშემ კვლავინდებურად ახალგაზრდული შემართება გამოავლინა და 14 შესაძლებლობიდან 8 ქულის მოგროვებით მეორე-მესამე ადგილები გაინაწილა (უარყოფითი კოეფიციენტით დარჩა მესამეზე).

აღსანიშნავია, რომ ქალბატონი ლია კასპის სპორტკომპლექსის მწვრთნელია და თანარაიონელ გოგო-ბიჭებს აზიარებს შაშით თამაშის ხიბლსა და ანდამატს.

„მამულო, სიცოცხლეო!“...

# დელგმაში გატანილი ჩირაღდანი

**კიდევ კარგი, სამშობლოს სიყვარული ჟიუტია და მძლეთამძლე, თორემ ნაგვილებდა და გაგვაქრობდა ჭრილობაში ჩარჩენილი ტყვიები ... ტარიელ შარიფაშვილი იმ თაობის მკვეთრად გამოხატული წარმომადგენელი იყო ილიაზე ფიქრისას საქართველოზე რომ ფიქრობენ. ის, ვინც მატერიალური გაჭირვების გამო მხოლოდ საკუთარი, კერძო მომავლის გეგმებს არ აწყობდა, მან იცოდა და გრძნობდა რომ სულიერების აღორძინების გარეშე შეიძლება წინ წასვლა... მან და მისმა თაობამ იცოდა საქართველოს დამოუკიდებლობის ფასიცა და მნიშვნელობაც. აკი ომის დაკარგული თაობაც შეარქვეს იმ დიდებულ პლეადას, უყოყმანოდ რომ შეეწირნენ საქართველოს მთლიანობასა და დამოუკიდებლობას.**

**რამდენმა თაობამ წაიღო საიქიოში დარდი საქართველოს დამოუკიდებლობის ვერ აღდგენის გამო. რამდენი დრო, ენერგია, თავდადება და სიცოცხლე შეეწირა ყველაზე მთავარის — თავისუფლების მოპოვების ყოვლისმომცველ სურვილს.**

**მაშინ, როცა ეროვნული დამოუკიდებლობის იდეა ღრმა იატაკქვეშეთში აერთიანებდა ნამდვილ ქართველებს, ყველაზე დიდ ოპტიმისტ პატრიოტსაც უჭირდა თავისუფალი საქართველოს წარმოდგენა. მზად იყვნენ საბრძოლველად, მაგრამ ერთი წუთითაც არ ტოვებდათ შიში, რომ დიდი იმპერიები ვერ დათმობდნენ „გემრიელ ლუკმას,“ ხოლო, როცა ბრძოლა იწყება, მრავალ დამნაშავეს შეიძლება უდანაშაულოც მიჰყვეს, დროში გავრცობილი ბრძოლა კი ყველაზე ძნელი მოსაგებია.**

**რამდენ მოლოდინს იტევდა საქართველოს დამოუკიდებლობა...**







მრავალთაგან განსხვავებით ტარიელ შარიფაშვილს ჰქონდა მტკიცე შეგნება იმისა, რომ სამშობლოს ბედნიერი მომავლისათვის მსახურების ბევრი გზა არსებობს და თითოეული მთავარი და ერთადერთია.

მან იცოდა, რომ ბედნიერება არ არის ბევრი სახლი (ქალაქში, ზღვაზე, მთაში), ბარაქიანი საბანკო ანგარიშები (ურყევ ვალუტაში), გავლენიანი „მეგობრები,“ საჩვენებელი კოლექციები: იარაღების, ძაღლების, ანკესების ... და საერთოდ, საჩვენებელი ცხოვრება მისთვის ისეთივე გაუგებარი იყო, როგორც ყველაფერი არაბუნებრივი. მატერიალურ კეთილდღეობას ამოფარებული მედროვეები ძალიან არაკომფორტულად გრძნობდნენ მასთან თავს, თუმც რატომ? ამას ვერ ხვდებოდნენ. ისე კი ყველა სიკეთეს იმსახურებდა, სწორედ იმიტომ, რომ მისი ბედნიერება ადამიანებთან ურთიერთობას, სამშობლოს მსახურებასიყვარულს, ღირსეულ, ვაჟკაცურ ცხოვრებას გულისხმობდა და საერთოდ, ბუნებრივი იყო მოქმედებით, მსახურებით, პოზიციით.

პირველ შეხვედრაზე თქვა, რომ ძალიან უყვარდა ისტორიული წიგნები მეფეებზე, რაინდებზე, ქართველების გამარჯვებაზე. მაშინ ვიფიქრე — ეს რა ნამდვილი მხედართმთავარივით ლაპარაკობს მეთქი. აბა, როგორ წარმოვიდგენდი, რომ ჩემს წინ ჩვენი დროის გმირი იჯდა. გმირი ამ სიტყვის საუკეთესო გაგებით. ის უკვე გამგებელი იყო და ეს სინამდვილე განსხვავებულ ასპექტში გვაჩვენებდა მის სახეს.

მაშინ ნამდვილი ომი იყო უშუქობით, უგაზობით, უშაქრობით ... თუმც, პურს კასპიდან ეზიდებოდნენ გორში, ქარელში, ხაშურში. სახელმწიფო მეთაურის აპარატში, რომ გაიგეს კასპელი ვიყავი პირველი ეს მკითხეს - „კასპში მართლა თეთრი პური ცხვებაო? აქ დატვირთვა „მართლა თეთრზე“ მოდიოდა ქვეტექსტი კი ასეთი გახლდათ „თეთრი პური თბილისში არა გვაქვს და თქვენ დედაქალაქზე კარგი პური გქონიათო?!“

რა შრომა, გარჯა და თავდადება უჯდებოდა ტარიელ შარიფაშვილს იმ პურით მომარაგება, მარტო მან იცოდა. ბატალიონსაც პატრონობდა, თუმც იმ დროს ის უფრო პოპულარული ამბავი იყო შარიფაშვილის ჯარისკაცები როგორ ვერ სარგებლობდნენ ომის კანონით და უალაფოდ ბრუნდებოდნენ სახლში.

შინაგანი დისციპლინით იგი ყოველთვის აღწევდა წარმატებას, მაგრამ შორს იყო ასკეტიზმისაგან. რამდენად უცნაურად უნდა მოგვეჩვენოს ყველას /ჩვენ ვინც ვიცნობდით მას პირადად/ პოეტური გაგება შეეძლო, მაგრამ არ იყო კაეშანს მიცემული კაცი. იგი კეთილი, თავისი ხალხის წარსულით და ღირსეულ მხედართმთავართა ისტორიით დაინტერესებული და მოხიბლული ვაჟკაცი გახლდათ.

მან იცოდა გაზეთის ფასი, მნიშვნელობა, და მართლაც ღირსეულად ედგა გვერდში რედაქციას. გაზეთი რომ გამოდის და სკოლაში სწავლა არ ჩერდება ეს ძალიან მნიშვნელოვანია ჩვენთვისო — ხშირად მომისმენია მისგან. იმ უშუქობაში გაზეთი შეუფერხებლად გამოდიოდა და როგორც სამხედრო ჟურნალისტებმა თქვეს მაშინდელი „განთიადის“ მასალებმა ფასდაუდებელი სამსახური გაუწია უახლესი ისტორიის შენახვას. ტარიელ შარიფაშვილის თანადგომით გამომავალ გაზეთში დაბეჭდილი ინფორმაციული შენიშვნები თუ ინტერვიუები დღეს უკვე ჩვენი სამშობლოს ისტორიის უტყუარი დოკუმენტებია.

გარდაცვალებამდე სამი დღით ადრე, გამგეობის შენობის წინ დაგვპირდა „- თუ არ მოვკვდი გაზეთის გავრცელების პრობლემას აუცილებლად მოვაგვარებო ...“ — ისეთი მხნე იყო, ძლიერი, სიცოცხლით სავსე მის სიკვდილს როგორ წარმოვიდგენდით, როგორ ვიფიქრებდით, როგორ დავუშვებდით...

ახლა უკვე შეგვიძლია ვთქვათ, მისთვის საქართველოს ჯარისკაცობა პროფესია არ იყო, ჯარისკაცობა მისი ბედისწერა გახლდათ. მის გარშემო მყოფთ (ვინ იცის, ზოგმა თვალის შევლებაც ვერ მოასწრო) გვიზიდავდა სიალალის განუმეორებელი ხიბლი. იგი თავისთავად გამორიცხავდა ყოველგვარ ყალბს, მოგონილს, ნიღაბისმიერ ურთიერთობებს, მოიცავდა მხოლოდ ნამდვილს, მართალს.

ჩვენ, ჟურნალისტებს, ხშირად გვსაყვედურობენ უფერული და საშუალო მონაცემების სუბიექტთა მაღალ პიროვნებებად წარმოსახვა რომ „შეგვიძლია“ ... მაგრამ ამ შემთხვევაში ეს ხერხი უადგილოა. ტარიელ შარიფაშვილი ომის თაობის რეალური წარმომადგენელია, შესაბამისი სიმამაცით, უდრეკელობით, ტრაგიზმით. იგი იმ ქართველ ჭაბუკთა რიცხვს განეკუთვნება, რომელთაც განგება ფართო სარბიელზე გასვლის შესაძლებლობას აძლევს, მათ კი შესწევთ ძალა თავი დააღწიონ იმ გრძნეულ გარსს, რასაც ჩვეულებრივ პროვინციალიზმს უწოდებენ. ნუ შეგვაშინებს ეს სიტყვა, უნდა სწორად გავიგოთ, რომ პროვინციალიზმში დასახლებულ პუნქტს კი არ ვგულისხმობთ, არამედ აზროვნების სტილსა და მანერას.

დარწმუნებული ვართ, ტარიელ შარიფაშვილის ხასიათის მრავალი საინტერესო რამ ჩვენთვის ჩაკეტილ კარს მიღმა დარჩა და ახალი აღმოჩენებიც აღარ გვე-



ლის, მაგრამ ერთი ფაქტია, ასეთი ვაჟკაცების სიკვდილით ძალიან ბევრი აკლდება ეროვნულ სულს. ... ტარიელი კი ჩაქრა ისე, როგორც დელგმაში გატანილი ჩირაღდანი.

**ნანა მერებაშვილი.**

## ჭიდაობას რა უნდა?!




იუნესკომ ქართული ჭიდაობა მსოფლიო არამატერიალური კულტურული მემკვიდრეობის ნუსხაში შეიტანა.

აღნიშნული გადაწყვეტილება, 29 ნოემბერს, მავრიკიის ქალაქ პორტლუისში იუნესკოს არამატერიალური კულტურული მემკვიდრეობის მთავრობათაშორისი კომიტეტის მეცამეტე სესიაზე იქნა მიღებული.

**“იუნესკომ” ქართული ანბანი მსოფლიო მემკვიდრეობის ნუსხაში შეიტანა.**

ქართული ანბანი შევიდა მსოფლიო მემკვიდრეობის ნუსხაში, ამ ფაქტს სახელმწიფოსგან და ხალხის მხრიდანაც დიდი გამოხმაურება უნდა მოჰყვეს!

მსოფლიოში არსებული 14 ანბანიდან პირველები ვართ, ვინც მსოფლიო მემკვირეობის ნუსხაში მოვხვდით, 14 ანბანიდან ერთადერთი ვართ, ვისაც ანბანის სამი ცოცხალი სახეობა გვაქვს (მრგვლოვანი, ნუსხური, მხედრული) და ეს აღიარა მსოფლიომ ეთიოპიაში, სადაც 150-ზე მეტი ქვეყანა ფეხზე წამომდგარი ტაშს უკრავდა ნომინაციას.




## საგურამო _ 2018

ვახსენებთ ტოპონიმს “საგურამო” და ლიტერატორების მეხსიერებაში უნებურად ამოტივტივდება “ილიაობის” ფოტო-საარქივო კადრები, სტატიები... ბოლო ათწლეულში 8 ნოემბერი ყვარელში, ილიას დაბადების ადგილას, უფრო ექცევა ტელეობიექტივში... საგურამო კი ილიას თანამდევი სულით “ერის მამის” უკვდავების მატიანეს გამორჩეულად ქართულად, უხმაუროდ, ღირსეულად წერს... ამის ნათელი დადასტურებაა პრემია “საგურამოს” თექვსმეტწლიანი ისტორია...

ბევრი ღირსეული ქართველი შემოქმედი გახდა ამ პრემიის ლაურეატი. შარშან კი თავსხმა წვიმასაც არავინ მორიდებია დაჯილდოებისას და პრემიის თხუთმეტწლიანი ისტორიის საიუბილეო კრებულის პრეზენტაციაზე, 8 ნოემბერი – ილიას დაბადების დღე ამ ფორმატით – პრემიების გაცემით – 2003 წლიდან ყოველწლიურად საზეიმოდ აღინიშნება საგურამოში...

ტრადიციისათვის არც წელს უღალატია საგურამოს. წელსაც საიუბილეოდ მორთული იყო სცენა, ოღონდ ამჯერად ჟურნალ “ჭოროხის” (ყოფილი “ლიტერატურული აჭარა”) 60 წლის იუბილემ ჩამოიყვანა მწერლები აჭარიდან...

საქართველოს მწერალთა კავშირის თავმჯდომარემ მაყვალა გონაშვილმა კავშირის გალაკტიონ ტაბიძის პრემიით დააჯილდოვა აჭარელი პოეტი სანდრო მაღრაძე, ხოლო “ჭოროხელებს” – ჯემალ სურმანიძეს, ლალი კონცელიძეს, გულნაზ სამნიძეს და მალხაზ ფაღავას მიანიჭა წოდება “ქართული კულტურის ამაგდარი”. სიტყვით გამოვიდა მწერალთა აჭარის ორგანიზაციის თავკაცი პოეტი ვახტანგ ღლონტი.

პრემია “საგურამო – 2018” ნომინაციების მიხედვით გამარჯვებულებს გადასცა საგურამოს ილიას მუზეუმის დირექტორმა ანდრო ბედუკაძემ: პოეტ შოთა ზოიძეს (პოეზია), მწერალ ზაურ კალანდიას (პროზა), კრიტიკის ორ სრულ ლაურეატს – ნინო ვახანიას – სოხუმის დევნილი უნივერსიტეტის პროფესორს და თბილისელ მწერალს, პროფესორ სოსო სიგუას, პოეტ ედუარდ უგულავას (საბავშვო ლიტერატურა), თამაზ ჯოლოგუას (ჰუმანიტარულ დარგში); სამწუხაროდ ორი გამარჯვებული ავადმყოფობის მიზეზით ვერ ეწვია საგურამოს – რაულ ჩილაჩავა (თარგმანი), – უკრაინაში მოღვაწე ქართველი მთარგმნელი, აკადემიკოსი და ცნობილი ქართველი მსახიობი ნოდარ მგალობლიშვილი (ხელოვნება).

ყველაზე საპატიო ჯილდო – ილიას მედალი “მარად და ყველგან, საქართველოვ, მე ვარ შენთანა” ქართული კულტურისა და სულიერების წინაშე განსაკუთრებული დამსახურებისათვის გადაეცა ცნობილ ქართველ არქიტექტორს ვახტანგ დავითაიას. სიტყვით გამოვიდა ენის სახელმწიფო პალატის თავმჯდომარე გიორგი ალიბეგაშვილი, ლექსი წაიკითხა პოეტმა მანანა ჩიტიშვილმა.

“111 წელი გავიდა დიდი ილია მართლის (ჭავჭავაძე) გარდაცვალებიდან. 11 წლის წინ კი 8 ნოემბერს – ილიას დაბადების დღეს – სასტიკად დაარბიეს ქ. ბათუმის შ. რუსთაველის სახელობის უნივერსიტეტი, წინა დღის – 7 ნოემბრის თბილისის მშვიდობიანი აქციის დარბევის გაპროტესტებისათვის!.. ალბათ არ კმარა საუკუნეში ერთხელ გამოფხიზლდეს ერი... თუმცა ილიას “ჩემო კარგო ქვეყანავ” სწორედ ის სახალხო ჰიმნია, ქართველი ერის ენერგიას რომ აბალანსებს უკეთესი მომავლის რწმენითა და იმედით”, - აღნიშნა სამადლობელ სიტყვაში ერთმა გამომსვლელმა...

... იმ დღეს, 8 ნოემბერს, მექორწილე წყვილმა ჯვრისწერის სამახსოვრო ფოტოები გადაიღო საგურამოში, ილიას ეზოში, ილიას ძეგლთან...

თამარ გაბოძე.

## გილოცავთ!



ძვირფასო თანაქალაქელებო, მინდა მოგილოცოთ კარსმომდგარი ახალი, 2019 წელი და გისურვოთ ბედნიერება, სიხარული, ჯანმრთელობა და კეთილდღეობა. ვისურვებდი, რომ სამშობლოს ერთიანობა და სიძლიერე დაგვბედებოდეს ამ ახალ წელს, ჩვენს სახელოვან ახალგაზრდებს, მომავალ თაობას კი, ვუსურვებ წარმატებებს სწავლასა და შრომაში, ეცხოვროთ ჯანსაღი ცხოვრების წესით, ესწავლოთ ერთმანეთის სიყვარული და მხარში დგომა.

**გოგი ნიპარიშვილი, კასპის სპორტული კომპლექსის დირექტორი.**



მინდა დამდეგი 2019 წელი და შობა-ახალი წლის დღესასწაული მივულოცო ჩემს პატარა, მაგრამ სიყვარულით სავსე ქალაქს. ეს ის ადგილია, სადაც მრავლად შეხვდებით პროგრესულად მოაზროვნე ინტელიგენციასა და ნიჭიერ, მოტივირებულ მოსწავლე-ახალგაზრდობას... ჩემო ძვირფასებო, მინდა გისურვოთ სიკეთე, ბედნიერება და სიხარული, უამრავი წარმატება, საინტერესო დღეთა სიმრავლე, მუდამ გვეამაყოს ჩვენი მომავალი თაობით, გვეცხოვროს გამთლიანებულ, ძლიერ და მტკიცე საქართველოში.

**თინათინ კურდღელაშვილი, კასპის მესამე საჯარო სკოლის ინგლისური ენის მასწავლებელი.**



ქალბატონებო და ბატონებო, ძვირფასო კასპელებო, გილოცავთ შობა-ახალი წლის დღესასწაულს, დაგილოცავთ ოჯახის ფუძე-ჭერს, ფეხბედნიერი ყოფილიყოს თქვენთვის ეს ახალი, 2019 წელი, მშვიდობამ, სიკეთემ დაისადგუროს თქვენს ოჯახებში, დღეგრძელობა, წარმატებები გვქონოდეს.

მრავალჟამიერ, ღმერთი გფარავდეთ!

**დავით მუმლაძე, კასპის სააქციო საზოგადოება საქართველოს ნატურალპროდუქტთა კომპანიის დირექტორი.**

## “ზიდი მდივარი იცნობს ცხინიბს”? როდის?

**დასასრული. დასაწყისი იხ. გვ.**

მეშვიდე ადგილი: ამერიკელი ბეტი ფრიდნეის “ქალურობის საიდუმლოება,“ წიგნი, რომელსაც ფემინიზმის “ბიბლიას“ უწოდებენ.

მეექვსე ადგილი: კარლ მარქსის “კაპიტალი“. როგორც ცნობილია, ეს ნაშრომი კაპიტალიზმის მავნებლობასა და კომუნიზმის გამარჯვების ეკონომიკურ წინაპირობებზე ღაღადებს.

მეხუთე ადგილი: ამერიკელი ჯონ დიუს ნაშრომი “დემოკრატია და განათლება“. მისი პოზიცია საკამათოა: წიგნი შავ სიაში აღმოჩნდა, რადგან მეცნიერთა აზრით, რელიგიას და საზოგადოების მიერ მიღებულ მორალს უარყოფს.

მეოთხე ადგილი: ამერიკელი ალფრედ კინსის “მამრი ადამიანის სექსუალური ქცევა.“ მისი კითხვა გატაცებითაც კი შეიძლება, მაგრამ ამის შემდეგ ნორმალური ადამიანი ველარ იქნებით. წიგნში ამორალური ქცევები და სექსუალური გარყვნილება აღწერილი.

მესამე ადგილი: მაო ძე-დუნის ციტატების კრებული, რომელიც ე. წ. კულტურული რევოლუციის პერიოდში ჩაწერილ, ჩინეთის კომუნისტური პარტიის ბელადის გამონათქვამებს შეიცავს. მიუხედავად იმისა, რომ დასავლეთში ადამიანების უმეტესობას მაოს ბევრი ტექსტი გულუბრყვილოდ თუ პრიმიტიულად, ხშირად სიგიჟედაც მიაჩნია, ჩინეთში ამ წიგნს ყველაზე მეტი მკითხველი ჰყავს და თითოეულმა მათგანმა, სულ ცოტა, ათი ციტატა მაინც იცის ზეპირად.

მეორე ადგილი: ადოლფ ჰიტლერის Mein Kampf (“ჩემი ბრძოლა“). დღეს ამ წიგნს ნაციზმისა და რასობრივი თეორიის “ბიბლიას“ უწოდებენ.

პირველი ადგილი: ყველაზე მავნე ავტორებად კი “ექსპერტებმა“ კომუნიზმის შემქმნელები კარლ მარქსი და ფრიდრიხ ენგელსი მიიჩნიეს, მათი “კომუნისტური პარტიის მანიფესტით.“

იმედია, ცოტა ხნის შემდეგ, ამერიკის შეერთებულ შტატებში კაცობრიობის ისტორიაში ყველაზე სასარგებლო წიგნების სია გამოქვეყნდება, რომელსაც ცნობილი მეცნიერების და პოლიტიკოსების გამოკითხვის შედეგად შეადგენენ.

მანამდე კი, გილოცავთ ახალ წელს, გისურვებთ განათლებულ ცხოვრებას!

ნ. ხატიძე.

## გილოცავთ!

გინდათ, გაეცნოთ საინტერესო, საქმიან და მნიშვნელოვან ცვლილებებს ქვეყნისა და მუნიციპალიტეტის ცხოვრებაში?
გინდათ, გაიგოთ ექსპერტთა მოსაზრებები საქართველოს ცხოვრების პერსპექტივაზე?
გამოიწერეთ ,,ახალი განთიადი,,


























კეხურა ელოდება გამოხმაურებას! დაგვიკავშირდით მისამართზე: სააკაძის ქ.№68

პირველ გვერდზე გამოქვეყნებული ფოტოს ავტორია ლაშა ზუბიაშვილი.

## ხსოვნა



### მინდია გაბიდაური

ცრემლითა და უსაშველო ტკივილით აღვნიშნავთ შენს დაბადების დღეს - 27 დეკემბერს, 42 წლის გახდებოდი... ჩემო საყვარელო ძმაო, მინდია. შენი უეცარი გარდაცვალება თავზარდამცემი, სულისშემძვრელი იყო შენი დედმამიშვილებისა და ახლობლებისათვის, მეგობრებისათვის... ძმაო, მინდია, შენ ხომ ყველა გიყვარდა, ყველასთვის სიკეთე გემეტებოდა, გვერდში ედექი შინაურსა თუ გარეულს, ყველას შენი იმედი გვქონდა. მას შემდეგ, რაც დაგვტოვე და მარადისობას შეუერთდი, გაუსაძლისი გახდა ჩვენთვის ყველაფერი. ძალიან ძნელი ყოფილა დედმამიშვილის სიკვდილი... ძმაო, ძნელია იმასთან შეგუება, რომ შენს ხმას ველარასოდეს გავიგებ, ძალიან მენატრები. მსუბუქი იყოს შენთვის მშობლიური მიწა, ვილოცებ შენი ლამაზი და ალალი სულისთვის, უფალს ვთხოვ, დაგიმკვიდროს მარადიული სასუფეველი იქ, სადაც მართალნი განისვენებენ.

და თამილა გაბიდაური.

### გურამ თოთოსაშვილი



შრომისმოყვარე, გამრჯე, სამეზობლოზე მზრუნველი, უერთგულესი ადამიანი, ყველას ჭირისა და ლხინის გამზიარებელი გურამ თოთოსაშვილი გულმხურვალედ დაიტირა სოფელმა... ლამისყანაში ალბათ, იშვიათად მოიძებნება ოჯახი, რომლისთვისაც დახმარების ხელი არ გაეწვდინოს, ვინ მოთვლის, რამდენ შეჭირვებულ მეზობელს დაუდგა გვერდით, ხელი გაუმართა და უპრობლემოდ მოუგვარა ელექტროგაყვანილობა, ეს ხელმარჯვე და ყველას გულშემატკივარი კაცი ბევრს ეიმედებოდა სოფელში. 2004 წლიდან სიცოცხლის ბოლომდე გურამ თოთოსაშვილი ლამისყანის საჯარო სკოლის დარაჯად მუშაობდა, ზრუნვასა და ყურადღებას არ აკლებდა დიდსა თუ პატარას, პასუხისმგებლობით ეკიდებოდა დაკისრებული მოვალეობის შესრულებას.

ღმერთმა ნათელში ამყოფოს მისი სული.

ლამისყანის საჯარო სკოლა.

---

ნანა მერებაშვილი და ლია მენაბდიშვილი სამძიმარს უცხადებენ თინიკო და ირმა მერებაშვილებს დედის
მერი მერებაშვილის
გარდაცვალების გამო.

---

გიული, მანანა და ლია სოზიაშვილები სამძიმარს უცხადებენ თინიკო და ირმა მერებაშვილებს დედის
მერი მერებაშვილის
გარდაცვალების გამო.

---

ირმა გურასპაშვილი, თათია და კოტიკო ბროლაძეები სამძიმარს გამოთქვამენ ოჯახის ახლობლების თინიკო და ირმა მერებაშვილების დედის
მერი მერებაშვილის
გარდაცვალების გამო.

---

კასპის სპორტკომპლექსი სამძიმარს უცხადებს ამავე კომპლექსის მწვრთნელს ბერდია ნატროშვილს დედის
ქეთევან ბახტაძის
გარდაცვალების გამო.

გამოიწერეთ | ახალი განთიადი! | გამოიწერეთ

რედაქციაში შემოსული წერილები არ რეცენზირდება და ავტორებს არ უბრუნდებათ

გაზეთი იბეჭდება შ.პ.ს. კოლორ პრესში

რედაქცია ხელმძღვანელობს თავისუფალი პრესის პრინციპებით.
სტატიის ავტორის აზრი, შესაძლოა არ ემთხვეოდეს რედაქციის აზრს. მოტანილი ფაქტების სიზუსტეზე პასუხისმგებელია ავტორი.
სარეკლამო მასალებისა და განცხადებების შინაარსზე რედაქცია პასუხს არ აგებს.
რედაქციის ნებართვის გარეშე მასალების გამოქვეყნება იკრძალება.

რედაქტორი
ნანა მერებაშვილი

რედაქციის მისამართი:
2600 ქ კასპი
სააკაძის ქ. № 68
ტელეფონი 22-25-76